№ 41 მთავრობისა და ოპოზიციის ორგანო

საქართველოს რესპუბლიკა

უოველდღიური გაზეთი

ფასი 50 მან. ოთხშაბათი, თებერვლის 23 1921 წ.

წელიწადი მეექვსე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობის მიმართ, უოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განკარგულებები)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი დადის თვეში 500 მან., ცალკე ნომერი ყველგან 50 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 30 მან. 4-ბე გ. 20 მან. სამკვლევარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 1000 მ., განცხ. სამთავრობის დაკარგვის შესახებ 310 მ. სასმენელო. ეუწყ. განცხადებანი 600 მ. ნომერი განცხ. დაბეჭდვა დღის ნომრის მეტი 20%, რედაქციის და კანტ მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82.

რესპუბლიკის ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი აუწყებს საზოგადოებას, რომ ვერაგ მტერთან ბრძოლის პირველი მსხვერპლი ქალის, თავგანწირულად და გმირულად თავის მოვალეობის აღსრულების დროს მოკლულის, მოწყალების დის, უნივერსიტეტის სტუდენტის

მარო მაყაშვილის

დაკრძალვა მოხდება სამხედრო ტაძრის გალავანში ოთხშაბათს, 23 ამა თებერვალს, დღის 12 ს.

ფრონტზე

(გენერალური შტაბის ცნობა.)

(თბილისი, თებერვლის 22.)

თბილისის პოზიციებზე დამარცხებულ მტრის მდევარში, ჩვენი ჯარის მოწინავე რაზმმა გუშინ საღამოს აიღო სოფელი გუშისი და წალაბსური. სოფელ გუშისთან დამის ბრძოლაში ჩვენ ხელთ ვიგდეთ მტრის 8 ტყვიამფრქვეველი 3 ოფიცერი და 38 წითელ არმიელი. სოფ. წალაბსურთან მტერს წაგართვით სასროლ ძასალათა ერთი უკმბარებით და ვოზნებით.

გზა და გზა ჩვენი ჯარი სდგას აბარა ნაბანებს მტრის სრული არეკვა დარეკისა და დიდი ზარალისას.

კახეთში ადგილობრივ გლეხებმა დაიწყეს ხანტიკი ბოლშევიკების მოქმედება. ბოლშევიკების ცხენოსანი რაზმის წინააღმდეგ.

მტერმა დარიალშიაც სცადა ჩვენს მოწინავე პოზიციებთან მოახლოება, მაგრამ უკუგდებულ იქნა.

გაკრის მიმართულებით მტრის შემოტევა შეწერებულია.

საუოველთაო მოგებილობისა

თვდაცვის საბჭოს დადგენილებით თფილისის გამაგრებულ რაიონში (თფილისში, მცხეთაში, დიღომში, აეჭალაში დიდ და პატარა ლილოში, ნორაიოში, მარტყოფში, ბასლისუელში და ყველა სხვა ამავე რაიონის პატარა სოფლებში) ცხადდება მობილიზაცია 40 წლამდე ქართველი მოქალაქეებისა. პირველი დღე გამოცხადებისა, 21 თებერვალი, ბოლო დღე 22 თებერვლის საღამოს 6 საათისაკენ.

ვინც ამ დროს განმავლობაში არ გამოცხადდება იქნება გასამართლებული, როგორც დეზერტირი.

თფილისის ქალაქის თვითმართველობას და სამხედრო ერობას ევალება სასწრაფოთ განაწორკეცელოს ეს. სოფ. ცხინვალის მობილიზაციას. თფილისის სამხედრო ერობამ გაუწიოს ხელმძღვანელობა.

მოქალაქენო! შეასრულეთ თქვენი მოვალეობა.

თფილისელები გამოცხადდნენ სადგურის შირდას არ ქალაქის სამობილიზაციო პუნქტზე, სოფლელები კი სამხედრო ერობაში რუსთაველ ს პროსპექტზე.

დამარცხებული მტერი სამუდამოდ უნდა განიდევნოს ჩვენგან.

თფილისი, 21 თებერვალი 1921 წ.

ალმასხ. გენერალ-გუბ. ბ. ჩხეიძეშვილი.

ჩვენთან ერთად

ერევანი. სამხედრო სამხსნელ კომიტეტის თავმჯდომარე ვრაციანს.

მთავრობის სახელით მოგილოცავთ თქვენი სამშობლოს უცხოელთა ბატონობისაგან განთავისუფლებას! ჩვენ გვახარებს ცნობა, რომ სომხის ხალხი არ ილებდა მონაწილეობას ბალშევიკების მიერ ჩვენს წინააღმდეგ დაწყებულ ომში და რომ თქვენ გადაგიწყვეტიათ თქვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის დაცვა.

საქართველოს მთავრობა წინადადებას გაძლევს თქვენ დაუყოვნებელივ გაეღოთ მჭიდრო ჩვენთან ერთად და ბალშევიკებს „ხელოვნი“ დაჰკრათ. ამას მოითხოვს ორივე ერის საარსებო ინტერესები. მთელი ქართველი ხალხი ადგა თავის უფლებათა დასაცავად. ბალშევიკური ჯარიდან ივრიცხება გუშინ და ამაღამით მოგვრებულ იქნა მათთვის დიდი ხალხი.

საფრანგეთი საბოლოოდ გადმოვიდა ჩვენს მხარეზე და გუშინ მისმა ესკადრამ შავ ზღვაზე სროლა დაუწყო ბალშევიკების ჯარებს, რომელნიც ცდილობდნენ მეზადრის გამოსვლის დაკავებას.

მფსულმანობა ერთად ბალშევიკებისადმი მტრულ განწყობილებაში და ამიერკავკასიის ბევრ ადგილებში აიფრიალა ჯვაზე ბის ფრთა.

იწყება კავკასიის ერთა საერთო გამოსვლა მოსკოვის უღლისაგან თავის დასაღწევად და სოლიდარულად თავისი საქმეების მოსაწყობად. გთხოვთ ძიილით საჭმაო ზომები სომეხთა სოფლების გონს მოსაყვანად, რომელნიც ბალშევიკებმა შეცდომაში შეიყვანეს. თქვენ მისი ტფილისში აღდგენილია. თქვენს რადიო-გრამაში მოსწერეთ პირები დღეს მოალენ რადიოსთან თქვენთან მოსალაპარაკებლად. გვაცნობეთ ყოველ დღე საქმეთა მიმდინარეობის შესახებ.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოგიერ

ბაბაჯანიშვილი.

21 თებერვალი 1921 წ.

№ 1768.

ტფილისი.

ერის მოღალატენი

სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ 16 თებერვალს შეღვარეში შეიდგა ბალშევიკური რევოლუციონერკომიტეტი, რომელმაც გამოაცხადა თავისი თავი საქართველოს მაკარობად და მოუწოდა საბჭოთა ხუსეთის ჯარს საქართველოს შრომელთა წინააღმდეგ. ამ კომიტეტში შედიან საქართველოს შრომელთა ცნობილი მოღალატენი: ფილიპე მახარაძე, მაშია ორახელაშვილი, შეღვ შვილი, შალვა ელიავი, მიხეილ ოკუჯავა, ლადო ღუმბაძე, ალექსანდრე გეგეჭკორი და ბესო ქვარელიანი. ამ მოღალატეთა სიის ამშვენებენ ჰაიკ ოჰარი და ამაიკ ნაზარეტიანი.

როგორც სჩანს „იღუპრ“ ბალშევიკებს თურმე ეშვიც ძლარ ეპარებოდათ, რომ მათი დაამზეთა „წითლები“ ტფილისს აიღებდნენ და ძალა-უფლებას ხელში ჩაიგდებდნენ. საქართველოს შრომელ ხალხს მოღალატეებს ამანილსტოს პორტფელებიც განაწილებული ჰქონდათ თურმე.

ცნობილ ფილიპე მახარაძეს ნოე ჟორდანიაც უნდოდა...

მაგრამ მოსტყუდნენ მოღალატენი; საქართველოს დემოკრატიამ კარგად იცის ვის უნდა ჩააბაროს თავისი ბედი. ქართველ ერს ჯაილად აქვს წარმოდგენილი თუ რა მოელის მას მახარაძე-დვინან-ორახელაშვილები ხელში, მატყან არის, რომ ის დღეს ლომანიი იბრძვის და მტერს სასტიკად ამარცხებს.

„საქართველოს ახალი მთავრობა“ შეღვანიძეს სასახლე ელანდებოდათ, მაგრამ სულ მალე დაიმხობა იტყა, ამ საქართველოს დემოკრატიის მოღალატეთა, თავისი ერის ვამყიდველთა ტახტი.

ძრწოდეთ და გეშინოდეთ უბადრუკო ქართველი ერის საყვარელო შვილთა სისხლში ხელე გასხრილნო!

დადგა თქვენი აღსასრულის დღე.

დე, განოყიერდეს საქართველოს მიწა-წყალი ერის მოღალატეთა ლეშებით, მაგრამ თქვენ ღირსნი არა ხართ საქართველოს მიწა-წყლა...

თქვენ დიდი ხანია რაც მოკვდით სამშობლოსთვის და დღეს მხილოდ საქართველოს დემოკრატია უკანასკნელთ „გვიგლეთ“ სულთმობრძალს.

დედა-ქალაქი გადარჩა

დედა-ქალაქის მზიან კალთაზე გაიშალა ქართველ ერის უძრეკ სულის სიძლიერე. მტრის ურდოები სასტიკად დამარცხდა ტფილისის კედლებთან. გუშინ ხარბაზნის ქუაღლებზე გაბედული სამშობლოს ცული დედა ქალაქი, ეს მთავარი არტერია, უკვდავ საქართველოს სხეულისა—ტფილისი ტიტანურ ძალ-ღონით აღწეული დღეს დაწყნარებულა, მხიარნი.

მაგრამ ის არ ჩერდება; ღელავს, გიგანტურ ნაბიჯებს დგამს კვლავ მედგრად გაწაგრობის და იკრიბს ვარშემო თვის ყველა ნაწილებს ყველა გზით და ყველა მხრივ, მეხანით მტერთა, უძლოთა სამოციო შესაძლარად.

მას თავს დასტრიალებენ ისტორიულ გმირთა აჩრდილები, რომელთა „ბუკი და ნიღარა გვირეს სოფლის ყურთან“ სამშობლოს დასახსენებლად და ეს ხმა კი თავზარდამცემია მტრისათვის, რომელიც დღეს დამარცხებული შორდება ტფილისს, გადარჩა დედა-ქალაქი.

„წითელი“ ტყვეები

გუშინ კიდევ ჩამოიყვანეს ფრონტიდან დიდძალი „წითელი“ ტყვეები; როგორც პირველ დღეებში ჩამოყვანილი ტყვეები, ესენიც მეტად ცუდ შთაბეჭდილებას ახდენდნენ. ნახევარი ტატნელები დამშეულები, ძალზე მოჭანჭყლული და ძალზე სასო მიხდილნი; მალხაბეში მსენაგ ძალღებივით იყურებოდნენ; მათ დიდათ გეუკვირდათ, როცა დაინახეს მალხაბეში პური, ხორცეულობა და სხვა სურსათი.

უშვანი და თერგი მხედრდება

ყუბანსა და თერგის განმანთავისუფლებელმა კომიტეტმა მოწოდებით მიმართა თერგისა და ყუბანის ყაზახობას. მოწოდებაში სხვათა-შორის სწერია:

„ძმებო ყაზახებო! თქვენ აგამხედრეს თავისუფალი საქართველოს წინააღმდეგ და წოველი დროშით ხელში თქვენ აწყობრობით ბრძოლას საქართველოსთან. მაგრამ გახსოვდეთ, ძმებო, რომ საქართველოს ჯარი და სახალხო გვარდია ძლიერია თავისი სამართლით—სამუარო პასუხს გასცემს თქვენს თავდასხმას. თქვენს წინააღმდეგ იარაზმება მთელი ვლეობა და მეშვიდა კლასი საქართველოსი. მათ უკვე მიატოვეს მშვიდობიანი შრომა და თოფით ხელში მისწრაფიან ფრონტისაკენ, რათა იხსნან სამშობლო ბალშევიკური თავდასხმისგან. მოძალებებისაგან. სამი წელიწადია ქართველი ხალხი თითონ აწყობს თავის ქვეყნის საქმეებს, სცემს კანონებს მის მიერ კანონიერად არჩეული დამფუძნებელი კრების საშუალებით. ის სად არის შეზ. მარიტად მეშვიდა და გლეხთა მთავრობა შექმნილი მთელი ერის ნებისყოფით. სცენ ვიცხოვრეთ საქართველოს სოფლებშიაც და ქალაქებშიაც, მთებშიაც და ბარში ვიცხოვრეთ ხუვის პირებში და ვიცით თუ როგორ უყვარს ქართველ ხალხს თავისი სამშობლო, როგორ ენდობა იგი მის მიერ არჩეულ მთავრობას. მთელი ქართველი ერი აღსდგა, როგორც ერთი კაცი და მისიწერვით ფრონტისკენ თავისი თავისუფლების დასაცავად. თქვენ კი, ძმებო ყაზახებო, მიდიხართ კომუნისტ კომისრების ბრძანებითო, რომ დაამხოთ საქართველო და მოსპოთ მისი თავისუფლება. ყუბანი და თერგი მზაკვრ გმინავს კომუნისტურ უღელ ქვეშ და ელის მეხსიერ ჯამს თავისი გათავისუფლებისას. უკანუკ თქვენ ან ერთად ერთ თავისუფალ ქვეყნეშიაც ჩაიბრობით ქეშმარიტ ბალხურ მართველობას, თქვენს ბოროტმოქმედ გამარჯვებას წქვია კრულეთ მოიხსენიებს მთელი უუბანი და თერგი. დროა ძმებო თქვენს საკუთარ თავზე იფიქროთ და ირძოდა ყუბანიაც და თერგიც თავისუფლებისათვის გაიბრძოლოთ. ითიტოვეთ სისხლისაც ზეითელი არმია ჯალათ კომუნისტებისა. გაეშურეთ, რათა დაიცვათ თქვენი საკუთარი ტოტები ბოლშევიკებისაგან. პოლოვნება თავდება შემდეგი სიტყვებით „შემოკრებით ცაბხეთა ლაშქრონო რათა ერთის ძალით დაიცვათ ჩვენი მიწა-წყალი და ყმაწვილი თავისუფლება“.

თავდაცვის რაზმი

გუშინ სამხედრო ტაძრის გალავანში დემოკრატიული პარტიის მიერ შემდგარი რაზმი პოლკ. დ. ვარხაძის მეთაურობით დათვალიერა ტფ. გენ-გუბერნატორმა ბ. ჩხეიძემ და გაუთვალისწინა რაზმს მომენტის სიდადეც. მოკუნდა ერთგულად ესესულებოის რაზმს თავისი მოვალეობა ბოლშევიკების წინააღმდეგ, ხოლო რაზმის მოწყობითა კომიტეტის პროზიციმა მადლობა უძღვნა თვის დაუცხრომელ და ნაყოფიერ მუშაობაზე.

ტფ. მილიციის უფროსთან შემდგარ რაზმში 500 სულია ჩაწერილი, მათ შორის 150 შვილოვნი, რაზმი მთელ ქალაქში საყარაულო სამსახურს ეწევა.

მოღალატეთა გასამართლება

სამხედრო სავაგეშო სასამართლომ 22 თებერვალს გაარჩია საქმე გვარიდეების 1) გრიგოლ გოგებერაშვილის, 2) ილარ ჩხიკვაძის, 3) მიხეილ ბაქრაძის, 4) გრიგოლ კუპრაშვილის, 5) ტარიელ ამრამიშვილის, 6) მაკარი სვედელაძის, 7) სილიბისტრო ჟორჟოლიანის, 8) დოდნენტი წიფურავიანის, 9) და მე-10 მათე ზაურაშვილის შესახებ, რომელთაც ბრალი ედებათ მასში, რომ როგორც ცნობილია იყვნენ სამხედრო მოქმედების ფარგალში რესპუბლიკის ჯარში გადავიდენ მტრის ბანაკში, უმეტეს ადგილ-მდებარეობა რესპუბლიკის სამხედრო ნაწილებისა და შემდეგ დასთანხმდენ რა მტრის წინააღდგომას, ყიენით ჩვენ ჯარში ავიტაცია მტრის სასარგებლოდ დაბრუნდენ უკან. ბრალდება გათვალისწინებულია 243 მ. ს. დ. ჯ. 22 ფ.

შეიარაღებულთა რეგისტრაცია.

თანახმად რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა, ყველა მოქალაქე, რომელიც ატარებს ან ინახავს იარაღს ტყვიღისის გამგებლობაში სხვისს ყველა სახელმწიფო საწყობო გვარდიის მთავარ შტაბში რეგისტრაციისათვის.

ვინც არ შეასრულებს ამ დადგენილებას მიეცემა სამხედრო სასამართლოში.

ძმათა სალაფავი.

თავისუფალ სამშობლოსთვის ბრძოლის ველზე დაღუპულ გმირთა დაკრძალვა მოხდება 23 თებერვალს დილის 12 საათზე სამხედრო ტაძარის გალავანში ძმურ სამფლობაში. ტაძრის კომენდანტი სთხოვს ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა მოსამსახურეთ სცენ პატივი დასწორებით დედა ქალაქის დაცვის მსხვერპლებს.

გამოსვენება მიცვალებულთა მიხეილის საავადმყოფოდან დილის 10 საათზედ მიხეილის პროსპექტით, კირილწმ ეკლესიის ღ. მართალი რუსთაველის პროსპექტით სამხედრო ტაძარში.

† მარო მაჟაგილი

უდმობელმა ტკრმა მეცრი უმანკო მსხვერპლი შეიწირა.

გასტროლიმა ტყვიამ არ დაინდო მარო მაყაშვილიც და ქართველ ჯარის ქალთ სათნოების დათ მოვლინებული თავისი ახალგაზრდა სიცოცხლე ანაკეთა.

მამლიშვილური გრძნობით აღეწთო მარო მაყაშვილი და თავისუფალ სამშობლოს დასაცავად ჩადეკ დამცველთა რიგში.

ქართველი ქალი ამაყია თავისი ბუნებით.

ეს სიამაყე დაამტკიცა მარო მაყაშვილმა.

სამშობლოს სიყვარულში, მისთვის თავ განწირვაში.

ფდროთად დაიკარგო თავისი ლამაზი სიცოცხლე.

მაგრამ მისი სიკვდილიც ხომ ლამაზი იყო. სწორედ ისეთი როგორიც შეჰფერის რაინდულ ქმედნაზს.

მარო მაყაშვილიც თავის სამშობლოს ღირსეული შვილი იყო.

მაყაშვილების პატრიოტული ოჯახს ერთი წეკრი კიდევ გამოკლდათ.

ძვირფასია და დაუფიწყარი იქნება მარო მაყაშვილი ყველასთვის.

სამაგალითო—ქართველ ქალებისთვის.

დღეს მიიპატიჟებენ მოწყს ქართველ გმირ ქალს და ცრემლთან ერთად ყველ ეტყვის მას:

სამარადისო ხსოვნა, შენ, სამშობლოს წმინდა სამსხვერპლოზე რომ მიიტანე შენი ახალგაზრდა სიცოცხლე.

დიდ შენს სიდედავზე გაიშალოს ია და ვარდი, როგორც სამშობლო სამშვენიერის და პატრიოტიზმის უკვდავების.

ვ. ჭ.

შეკრება დამდგარი კარტლი.

გუშინ ტფილისში ჩამოვიდა პარველსაე ძახილზე ქართლის მიხალისეთა მრავალრიცხოვანი რაზმი პოლკ. ალჩიაე ფურკულაძის ხელმძღვანელობით. რაზმის შემდეგნენობა და სამმაგი ნეტარების ცრემლს აფრქვევნებს ყველა მამლიშვილს და სიამის შეკრა ჰყენს.

პოლკ. ფურკულაძეს ესახება ჩვენი თანამშრომელი რომელმაც გადასცა შემდეგი:

პირველსაე ძახილზედ მთელი ქართველი ფეხზე დამდგარა და მამლის სამსხვერპლოზე არ იშურებს არც ქონებასა და არც სიცოცხლეს.

ფრონტის დამხმარე კომიტეტის ინიციატორობით შეკრებილა ერთ დღეს ქ. ყორში 15 მილიონი მანეთი ხოლო ცხინვალში ათი მილიონი.

მცხოვრებლებს თავის ფეხით მოუტანიათ და დამზადებულია წამოსაღებათ 7 ვაგონი ხორი.

დიდ მუშაობას იჩენს ადგილობრივი ქალთა კომიტეტი, რომელიც ტანსაცმელის და სამოსის შეკერვას დამზადებაშია. მალე გაეგზავნება ფრონტს ორი ათასი ტომარა საჭურავი.

მობილიზაცია მთელ მაზრაში მრყუნვალედ მიმდინარეობს. დღეება ახალ ახალი რაზმები მობილისთა, რომელშიაც ერთ წუთს ცეწერები ადგილობრივი ძალები.

ვიბისნა საავადმყოფოები ქ. გორში—20 საწოლით, ახალქალაქში—10 საწოლით და ქარელში—10 საწოლით.

საერთო ენტუზიაზმი ძლიერია.

არასოდეს!

ქართველი ერისათვის ასეთი თავგანწირული ბრძოლა პირველი არ არის. მისი დიდი ისტორია ომისა, სისხლით, მაგრამ გმირული სულის-კვეთებით, შეუდრეკელი ნებისყოფით და ძლიერი მკლავით ბასიათდებოდა მუდამ არა ერთხელ მოგვიკეთა

...საქართველოს ადგა მუხლი,
მონოვრულად გვესმოდა
ყოველის მხრით მტრისა გუნდი.

მოგვიწყენ და მოგვიზეირთდენ
ერთიანად ჩასანთქმელად...
რაც რომ მაშინ ჭირი ვნახეთ,
ანული არის აწ სათქმელად.

ეს პატარა საქართველო
ჯარასავით დატრიალდა,
გადიწერა რა პირუკუნი
გაფოლადდა და გასალდა...

მოხეცი თუ ახალგაზრდა,
ერის კეცი თუ სამღვდელო,
ყველა ერთმხრივ მიიწევდა
ერთი ქონდა ყველას ლელო.

სადღა იყო ბენსხვევნა
რის ბატონი? ან ვისი ყმა?
ყველა ერთად შეკავშირდა
ერთი ჭოხდათ მათ გულის თქმა.

რომ გულწრფელად მოეხადათ
ქართველის შვილებს მათი ვალი,
და სიკვდილით გამოეხსნათ
ჩვენი ქვეყნის მომავალი!

მამაპაპის განთქმული ფარხმალს
უმატებდა შვილი ფასსა,
იმითი რომ ლომ-კეცრად
შეებმოდა ერთი ასსა.

„ჰკა მაგას“ ხმა ყოველის მხრით
მოისმოდა ბტრის სახით
და იმ გრგვინვას ბანს ძლევდა
სარკეცოდ მთა და ბარი.

(ბაკაის თორნიკედან)

დიახ, საქართველო მრავალ ჭირნახულია; ახა ერთსა და ორ მტერს სურდა მთისთის სასიკვდილო მახვილი ჩაეკრა, მაგრამ მასში ძლიერი ეროვნული სული მაინც ვერ ჩაეკვრეს მაშინაც კი, როცა საქართველო უფრო სუსტი იყო. დღეკანდელი საქართველო ხომ უფრო ძლიერია, დღეს მისი ეროვნული ორგანიზაცია ისე მაგრად არის შესისხლხორცებული, რომ მას ვერავითარი მტრის ტყვია ვერ დაშლის!

არასოდეს!

ხ. ჭ.

სხვა და სხვა ამბები.

მთავრობის რწმუნებული კახეთში.

დამოუკიდებელი ქრების წევრი კოსტანტინე ანდრონიკაშვილი დანიშნულია მთავრობის საგანგებო რწმუნებულად კახეთში, რომელიც თავის მოვალეობის ასრულებას შეუდგა დღეიდან.

„წითელების“ დემობილიზაცია.

დემობილიზაციის გამო რუსეთის რკინის გზების დიდძალი ჯარი გრთდება. რათა ამ გარემოებამ არ გამოიწვიოს სხვა და სხვა ეპიდემიის გავრცელება სანგარკოვა კანონი რაიმ ზოგიერთ სადგურზე დაარსებულ იქნას საკვები პუნქტები დემობილიზაციით ჯანთაგისუფლებულ ჯარისათვის.

ტფილისური საზოგადოებისაგან.

საქართველოს ტფილისური საზოგადოება ამით აცნობებს იმ პირველისტებს, რომელთაც სურვილი განსაცხადეს საზოგადოებაში მუშაობისა, რომ ისინი უნდა გამოცხადდნენ გზათა ოჯახის სამმართველოში (ერეგიეის ქუჩა № 8 სილოდკაში).

შ ე ს წ ო რ ე ბ ა.

მუშათა მაგიდა აცხადებს, რომ მან მიიღო მომპოვებიის სამინისტროსაგან თვითონის მუშა-მოსამსახურეთათვის საჭირო შეჭარი, რომლის განაწილებას ამ დღეებში შეუდგებიან. შეჭარი მიღებულია აგრეთვე რკინის გზის მოსამსახურეთათვისაც.

მორატორიუმი,

საომარ დროის გამო ფინანსთა მინისტრის განკარგულებით გამოცხადდა ქ. ტფილისში ერთის თვის ვადით სრული მორატორიუმი ფულის პირობებზე (по денежным обязательствам).

მთავარი შინაბრული კომისია.

დაარსდა ტფილისში შინაგან თვითდამცველ ფონდის მთავარი ფინანსიური კომისია, რომელშიაც შედიან ცენტრო-ბანკის გამგე (თავმჯდომარე) ვ. გოთუა, ამიერ-კავკ. ბანკის გამგე ნ. წერეთელი (ბანიდარი) წევრებად: იტალო-კავკ. ბანკის გამგე ამბაზი, ვაჭართა სამის გამგე მილოვი და მეფბრძანებათა და მეკრანტეთა საზოგად-ის თავმჯდომარე ტერ-ბეჩატეროვი, უკვე შეუდგა მუშაობას. ფული უნდა შეტანილი იქნეს შეუფერხებლივ კომისიის მიმდინარე ანგარიშზე ამიერ კავკასიის ბანკში ან ცენტრობანკში, რომელიც ღიაა ყოველ დღე დილის 11—1 ს.

გრძოლა სპეკულიაციის წინააღმდეგ.

ფქვილის საქმე ტფილისში და აგრეთვე სავაჭრო საზედამხედველო მეთვალყურეობის ხელძღვანელობა დაეკისრა ქალაქის მამასახლ. ო. ოუხაძეს.

საქონელზე ხელოვნურად ფასების აწევათ საზრაგის უფროსს პოლკოვნიკ სულქვილიძეს გადაეგზავნა სასურსათო განყოფილებისაგან 25 ოქში შედგენი შემდეგ გაკრებზე: 1) ბ. ვ. ოგანესიანცზე, 2) ი. ო. ინაბოთიძეზე, 3) ლ. ო. ბოჩავაძეზე, 4) გრ. გ. საგაბელიძეზე, 5) ნ. დ. ლეონ ბურდულაძეზე, 6) ლ. ა. ზტეინბეოგზე, 7) ქ. ა. იშხანოვზე, 8) ი. ნ. ნიკოფოსოვზე, 9) ა. დ. სამეციანზე, 10) ა. ა. ქესიანზე, 11) ა. ა. კახიანზე, 12, ა. ა. კამარიანზე: 13) ო. გ. ოთიკიანცზე, 14) გ. სამოკიანცზე, 15) ს. გ. ამანიშვილზე, 16) ი. ამანიშვილზე, 17) ლ. რ. გრიგორიანცზე, 18) მ. ს. ლეონიძეზე, 19) დ. ზახარიანცზე, 20) ს. დ. ფეტრასანცზე, 21) ა. ნ. ოგანჯანოვზე; 22) ა. ო. ბოიაჯიანცზე, 23) ს. გ. გელელიანზე, 24) ა. ს. ბალდასარიანზე, 25) ა. მ. ლეონიძეზე. აღნიშნული პირები ქალაქის თვითმართველობა სთხოვს მიეცემულ იქნენ სამხედრო სასამართლოში.

გრძანება რუსეთის შინაგან საქმეთა და გზათა მინისტრისა

21 თებერვალი 1921 წ.

ბენზინის და რეზინის სიმცირის გამო, სამხედრო მდგომარეობის შესამუბებელთან ვბრძანებ მიეცემულ იქნეს შემდეგი ზომები:

1. რესპუბლიკის ტერიტორიაზედ ბენზინის მარაგი გადადის სახალხო გვარდიისა და სამხედრო უწყების განკარგულებაში.

2. ყველა ავტომობილები და მატოციკლეტები, როგორც სახელმწიფო, აგრეთვე კერძო დაწესებულებების და პირებისა, გადადიან სახალხო გვარდიის და სამხედრო უწყების განკარგულებაში.

3. საბარგო ავტომობილებით უნდა სარგებლობენ სამხედრო საჭიროებისათვის ყოველგვარ კმაყოფის სახედვით.

4. სასანიტარო ავტომობილები ხმარდება მარტო დანიშნულ და ავათ მყოფთ.

5. მსუბუქი ავტომობილებით სარგებლობა შეუძლიანთ: მთავრობის წევრებს, მისი განკარგულებულ წარმომადგენლებს, გენერალ-შტაბის ბენრანტოს და ტფილისის მილიციის უფროსებს.

6. სახალხო გვარდიის და სამხედრო უწყების მთავარ შტაბების განკარგულებაში იმყოფებიან ბუთ-ბუთი სამგზავრო ავტომობილები.

ამ ბრძანების ცხოვრებაში გატარებას თვალყურის დევნა და მისი აღსრულები ვანაკ ევალება სამხედრო წესების ზონაში გენერალ-გუბერნატორს და გარეშე ამისი ადგილობრივ მილიციის უფროსებს.

შენიშვნა: ეს ბრძანება არ ვრცელდება უცხო მისიების ბენზინზე და ავტომობილზე.

შინაგან საქმეთა და გზათა მინისტრი

ნ. რამიშვილი.

მცერი მარცხდება.

საქართველოს მხედრობა იმარჯვებს, ახალ ძალებს იკრიბს. მამლიშვილური გრძნობით და ალტაცებით მიდის წინ და მტრის ძალებს ისე კაფავს, როგორც ტყვეში ამოსულ დაბალ ჯაგს.

ქართველ ხალხს თავდაცვის ინსტინქტი უფრო ძლიერი შეიქმნა. სამშობლოს სიყვარული და მისი განთავისუფლება ყველას სათაყვანო მცნებად მიაჩნია.

მთელი საქართველო დაიძრა. მოდის გამალებული ქვეყანა და ლაზარისა სცემს მტერს გულში. სამუდამოდ ასამარებს და ანადგურებს მის ზაგ ჯარის ჯარახეულს.

მტერს ეგონა საქართველო უმარად დანებდებოდა, არ გათქლვავდებოდა, მაგრამ სასტიკად მოსტყუვდა. ქართველი ხალხი ლაჩარი არის დროს არა ყოფილა და დღესაც დაამტკიცა თავისი სითამამე, გმირობა.

გმირული სულით გაეთქნილი საქართველო ერთ წამსაც არ შეჭერალა ურიცხვ დენდმელ მტრის წინაშე. ქედუღლად მოეპარა ქართველ ხალხს მტერი, ველისაკით უნდოდა დაესუფთა ჩვენი სამკული, მაგრამ ქართველი ადამიანი მეტად მაგარი აგებულებისა გამოდგა.

გამარჯვებული ჩვენი ჯარის ყაიფი ცასა სწვდება. ხალხიც აზეირთდა და თვის დამცველ მამაც გმირებს ზურგი გაუმაგრა. ყველანი ერთი აზრით, ერთი ფიქრით გაიმსჭვალნენ; ყველაფერი ფრონტს და ჩვენც გამარჯვებულები გამოვალთ.

მტერი ჯერ სავსებით არ განადგურებულა. სრულიად უნდა გამოვლილიც შემოსულიყო ურდოები კალისავით რომ შემოგვტენენ ნიღაბ ვენდომით მათ ჭოჭი, მომხიბლავ სიტყვებს. ცბოვრება და სინამდვილე სულ სხვას გვიჩვენებს.

ერთსულოვნება, ერთად შეკავშირება, გამუშებით ზარება ფრონტის ხელის შესაყოსად და სამხედრო ძალის გაძლიერება—აი, რა უნდა იყოს დღეს უპირველესად ჩვენი მთავარი მოზანი.

სადღეისო

„მტერს ვით დედა ვაძახოთ ჩვენ კი ვეძახთ დედა-დელას“.

რათ იყო სულმნათი მკოსანი ამ ტაეპისა ესე გულთამხიბოვი!..

რათ გვიანდერძა ფარად და ბიდათ ხმა გულთმისან ჩანგსა ეს ზეღმტაცი ხანგები.

საქართველოს ძლევა მოსილობის ფიცკუსი რათა შეიქმა ამ ზანგთა კამარაში და რათ დადაეწინა სულმნათმა მკლავი ქართველისა ხმაზე ხელგაკრულის!..

იქნებ გენებოთ საქართველოს შვილ მრავ დროშის მოფრიალე ერის განცდის ტაძარს წასცხოთ ჩირქი და დასცეთ ენი?

იქნებ გენებოთ სამარადისო საკურთხეველზე ეთნოთ კოცონი სიშმაგისა და ველურობისა?

იქნებ გენებოთ აქ აღდგენა სოდომ გომორის ნგრეულის სანაბობათა?

ვერა, ვერ შეეწყობით მტერი ამ დღეს!..

და თუ არ სურვა ჩვენ მას დაუმტკიცებთ ერთხელ და სამუდამოდ...

ჯერ ხომ სწვნია ჩვენი სულის განცდათა სულის ჯვეობა!

გამარჯვებულ ბრძოლის ველზე კვლავ გაჩენებთ ახალ სანაბობათ ჩვენი ლომ-არწივებისას...